



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA03019803463

№ 01-34/ო

11 / თებერვალი / 2014 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საგაზაფხულო
გაწვევის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 20 სექტემბერს N1157-ის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 08/10/2013), „ცენტრალური გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის თებერვლის №79 ბრძანებულების მე-5 პუნქტის, „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №136 დადგენილების მე-3 პუნქტის, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1. პუნქტის, „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელიც განხორციელდება სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის დეკემბრის N397 დადგენილებისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :


1. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით სამედიცინო გამოკვლევის მიზნით სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვროს სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელება სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილებით, „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 თებერვლის N279 დადგენილებით დამტკიცებული N20 დანა

(„სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“) ფარგლებში საქართველოს შრ
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის N01-238/ო ბრძანებით („სამხ
სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2013 წლის საშემოდგომო გაწვევის მიზნით გასატარებელ ღონისძი
შესახებ“) განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები.

2. დაევალოს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ უზრუნველყოს სამხედრო სავალდებ
სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიზნით შესაბამისი კანონმდებლ
გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



დიმიტრი მახ.